ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 ნოემბრის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონების აღრიცხვისა და მოვლა პატრონობის კუთხით მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია

მომხს: მაია ალავიძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 ნოემბრის მორიგი სხდომის
ოქმი N 19

2021 წლის 01 ნოემბერი

დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

სხდომა წარიმართა ონლაინ რეჟიმში

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, შალვა ლურსმანაშვილი, პავლე კიკალიშვილი, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე,

სხდომას ონლაინ ესწრებოდნენ: მანანა ბარბაქაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, იამზე პასქაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, ვახტანგ ტალახაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ინგა მაღრაძე.

მარინე ხვედელიძე, სულ 20 წევრი

სხდომას დარბაზში ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვლადიმერ გელაშვილი– მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

მაია ალავიძე– მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ივანე ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შარიქაძე - ა.ა.ი.პ. „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის“ ჟურნალისტი

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი“-ს ჟურნალისტი,

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონების აღრიცხვისა და მოვლა პატრონობის კუთხით მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია

მომხს: მაია ალავიძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 20 წევრი

მომხრე 20

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ **(თან ერთვის).**

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა - საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოხსენებს განხილული იქნა კომისიის სხდომაზე ბიუჯეტის შემოსავლების შეუსრულებელ ვალდებილებბთან დაკავშირებით იყო კიტხვები, რაზეც მომხსენებლის მიერ მივირეთ ამომწურავი პასუხი, გამოითქვა მოლოდინი, რომ წლის ბოლომდე ეს ხარვეზიც აღმოიფხვრება.

ი. მაღრაძემ - ფრაქციის „თვითმმართველობა ხალხისათვის" თავმჯდომარემ

ა) დასრულებულ სოფლის პროგრამებზე ხორციელდება თუ არა სათანადო მონიტორინგი ვინაიდან ჩაბარებული პროექტები ან დასრულბული არ არის ან ცუდად არის შესრულებული.

ვ. გელაშვილმა - მომხსენებელმა უპასუხა, რომ 50 000 ლარს ზემოთ პროექტებზე მონიტორინგს ატარებს მონიტორინგის ჯგუფი, ხოლო დანარჩენ პროექტებზე მერიის შესაბამისი სამსახური, რაც შეეხება შესრულებული სამუშაოს ხარისხს ეს ინფორმაცია უნდა მიიღოთ აღნიშნული სამსახურებიდან.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულოს მიერ : განკარგულება მიღებული იქნა ცნობად (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მ. ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონების აღრიცხვისა და მოვლა პატრონობის კუთხით მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ- ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რომელმაც აღნიშნა, რომ სამსახურის საქმიანობაში არის რადიკალური ცვლილება დადებითი მიმართულებით, ინვენტარიზაციის კუთხით პრობლემების აღმოფხვრა დაიწყო და გრძელდება , მადლობა მათ ამისათვის.

ინგა მაღრაძემ - ფრაქციის „თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარე:

ა) ზედუბანში 7 წლის წინ აშენდა წისქვილი სოფლის პროგრამით. რომელიც უფუნქციოა აშენების დღიდან ვინაიდან ტერიტორია აღმოჩნდა კერძო მესაკუთრის.

ბ) ვახანში არის დაწყებითი სკოლის შენობა რომელიც იშლება და ნადგურდება. ამაზე მოსახლეობამ რამოდენიმეჯერ მიმართა მუნიციპალიტეტს, თავად სკოლის ადმინისტრაციას, რესურსცენტრს და არ მოყოლია რეაგირება.

-

გ) სოფლებში სოფლის პროგრამებით ეწყობა წყლის სათავე ნაგებობები არის თუ არა ეს ნაგებობები მუნიციპალიტეტის ბალანსზე და რას გეგმავს მუნიციპალიტეტი მათ მოვლა-პატრონობაზე,

მ. მაღრაძემ - მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს და აღნიშნა, რომ ზედუბნის წისქვილის რეგისტრაციისათვის მომზადებულია დოკუმენტაცია და დღესაც მიმდინარეობს რეგისტრაციის პროცესი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციისათვის, რაც შეეხება ვახანის სკოლას, ის არ არის მუნიციპალიტეტის ქონება ეკუთვნის განათლების სამინისტროს, ჩვენს წინაშე ამ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებული პირის მომართვა არ შემოსულა, წყლის სათავე ნაგებობები, რომლებიც სოფლის პროგრამით არის გაკეთებულ ყველა მათგანი არის რეგისტრირებული ნაწილის რეგისტრაცია მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ხოლო წყლის სისტემები, რომლებიც მოწყობილია კერძო პირის მიერ კერძო საკუთრებაში მათი თანხმობის გარეშე ამ ქონებაზე ჩვენ ვერ ვრიაგირებთ.

მ. ბარბაქაძე, დაინტერესდა სოფლის სასაფლაოების რეგისტრაციის საკითხით, მან მაგალითად მოიყვანა ბორითის სასაფლაო, სადაც მოქალაქეებს თვითნებულად გაყავთ წყლის ნაგებობა

მ. ალავიძემ - მომხსენებელმა უპასუხა, რომ მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სასაფლაო არის რეგისტრირებული და დაინტერესდება ბორითის სასაფლაოს საკითხითაც.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულოს მიერ -

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე